



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 729

12/04/2018

ქალაქი ბათუმი

729-05-4-201804121414



ჯუმბერ ვარდმანიძის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის, კახაბერ ფუტკარაძის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის - შესყიდვების განყოფილების უფროსისა და ზურაბ კაჭახმაძის - მერიის მძღოლის ქ. თბილისში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი, მე-2-ე პუნქტებისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი 2018 წლის 03 აპრილის №5332/05 კორესპოდენციის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. მე, ჯუმბერ ვარდმანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი, კახაბერ ფუტკარაძე - მეორადი სტრუქტურული ერთეულის - შესყიდვების განყოფილების უფროსი და ზურაბ კაჭახმაძე - მერიის მძღოლი, 2018 წლის 12 აპრილიდან 14 აპრილის ჩათვლით, მივლინებული ვართ ქ. თბილისში, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, სადაც დაგეგმილია სემინარი თემაზე - „სახელმწიფო შესყიდვების აქტუალური გამოწვევები და სიახლეები“.

2. ქ. თბილისში გადაადგილება მოხდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებრივი ავტომანქანა ჰუნდაი ტუქსონი სახელმწიფო ნომრით LLZ-344 და გამოიყოს 120 ლიტრი საწვავი.

3. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების - საფინანსო-საბიუჯეტო (ტ. ნაკაშიძე) და მეორადი სტრუქტურული ერთეულის - შესყიდვების განყოფილებამ (ჯ. ფუტკარაძე) უზრუნველყონ სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება და საწვავის გამოყოფა.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა